2. Recommendations for the Seismic Design of High-rise Buildings. A Consensus Document- CTBUH Seismic Working Group. CTBUH Seismic Design Guide,2008.
3. Nonlinear Structural Analysis for Seismic Design. A Guide for Practicing Engineers. October,2010.

SOME ISSUES OF CONDUCTING FLUID UNSTEADY FLOWS IN PIPES UNDER THE ACTION OF A TRANSVERSE MAGNETIC FIELD

Jondo Sharikadze*, Badri Tsutskiridze**, Levan Jikidze**

*I. Vekua Institute of Applied Mathematics, Tbilisi, Georgia

** Department of Mathematics, Georgian Technical University, Tbilisi, Georgian, b.tsutskiridze@mail.ru

*** Department of Mechanics, Georgian Technical University, Tbilisi, Georgian, levanjikidze@yahoo.com

In this article is considered the unsteady flow of viscous incompressible electrically

conducting fluid in an infinitely long pipe placed in an external uniform magnetic field

perpendicular to the pipe axis. It is considered that the motion is created by applied at the

initial time in constant longitudinal pressure fall. The exact general solution of problem is obtained.

In this section is given a formulation of problem and are stated the general considerations, related with its solution for an arbitrary profile of transverse cross-section pipe. The next three sections of work (§§ 2-4) are devoted to the detailed study of flow in rectangular pipes. Finally in the last §5 is considered special case of motion in a circular pipe.

References

1. Loitsiansky L.G. Mechanics of a fluid and gas. Moscow: Sciences, 1987.-840p. (in Russian).
2. Vatazin A. B., Lubimov G. A., Regirer C. A. Magnetohydrodynamic Flow in Channels. Moscow: Nauka, 1970. - 672 p. (In Russian).
3. Landau L.A., Lifshits E.M. Electrodynamics of continua. GITTL, Moscow, 1982. -620p. (In Russian).
4. Tsutskiridze V.N., Jikidze L, A. Heat transfer in tubes with porous walls under internal heat sources//Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, Vol. 154, 2010, pp.127- -

- 133.
5. Sharikadze J., Tsutskiridze V., Jikidze L. The flow conducting liquid in magnetohydrodynamics tubes with heat transfer//International scientific journal IFToMM "Problems of Mechanics", Tbilisi, 2011, № 3(44), pp. 63--70.
6. Ditkin V.A., Prudnikov A.P. Integrated transformations and operational calculus. Moscow: Nauka, 1974. - 542 p. (In Russian).

SOLUTION OF THE BASIC PLANE BOUNDARY VALUE PROBLEMS OF STATICS OF ELASTIC MIXTURES FOR A MULTIPLY CONNECTED DOMAIN BY THE METHOD OF D. SHERMAN

Kosta Svanadze

Department of Mathematics, AkakiTsereteli State University

Kutaisi, Georgia

email: kostasvanadze@yahoo.com

In the present work we consider the basic plane boundary value problems of statics of the linear theory of elastic mixture for a multiply connected finite domain, when on the boundary are given a displacement vector (the first problem) and a stress vector (the second problem).

For the solution of the problem we use the generalized Kolosov-Muskhelishvili's formulas and the method of D. Sherman.

SOME APPROXIMATE METHODS FOR SOLVING BVPS OF REFINED THEORIES

Tamaz Vashakmadze

I. Vekua Institute of Applied Mathematics, Tbilisi, Georgia

We consider von Kármán-Reissner-Mindlin type refined theories. The variational-discrete methods for solving some BVPS are developed.

THE METHOD OF AUXILIARY SOURCES V. KUPRADZE AND RAYLEIGH HYPOTHESIS

Revaz Zaridze, D. Kakulia, I. Petoev, V. Tabatadze
Tbilisi State University, Laboratory of Applied Electrodynamics,
3, Chavchavadze Ave. Tbilisi, Georgia
E-mail: revaz.zaridze@tsu.ge

On 1907 Lord Rayleigh, published the paper: “On the Dynamical Theory of Gratings”, 1907 RSPSA.79, 08. Rayleigh derived explicit expressions for a perfectly conducting sinusoidal surface for perpendicular incidence of the electromagnetic plane wave. There were no essential arguments against Rayleigh’s approach until 1953, when Lippmann published a short note (B. Lippmann, J. Opt. Soc. Am. 43, 1953, 408.) in which he criticized the usage of solely outgoing plane waves in the representation of the scattered field in the grooves. Since this time there have been published several arguments, proofs, and discussions concerning the correctness and the range of validity of Rayleigh’s approach in general. It was shown that the validity of the Rayleigh hypothesis is governed by the distribution of the **Scattered Field’s Singularities** in the **analytic continuation** of the exterior field. Discussion on this problem is continuous until now (A. Voronovich. “Rayleigh Hypothesis in the Theory of Wave Scattering from Rough Surfaces”, 2010, <http://electroscience.osu.edu/article.cfm?id=5657>).

On 1967 V. Kupradze published: “About approximation solution of the Math. Phys. Problems”, Success in Math. Sciences, Moscow, 1967. In this theoretical paper he presented several methods of approximation solutions. Particularly, solution of the Electromagnetic (EM) or acoustic wave scattering problems on dielectric or solid body, named as Method of Auxiliary Sources (MAS). The main idea of the MAS was to present the scattered by Greene functions (their completeness and linearly independents in the L^2 Lebesgue space was proofed) as an Auxiliary Sources (AS) shifted inside and outside from the real body’s boundary. This one helps to avoid singularities in solution of the appropriate integral equation and sharply increase the convergence calculations results. He intuitively assumed, that scattered field must be **analytically continued** inside and outside of

the body’s surface. Therefore, like in case of Rayleigh’s problem, efficient application of the Kupradze method tightly bound with Rayleigh hypothesis. We have developed the MAS and used efficiently for solution many applied electrodynamics problems considering **singularities** in the **analytic continuation** of the exterior scattered field like in case of the validity of the Rayleigh hypothesis. We believe that the study of the Scattered Field’s Singularities and its analyticity area is one of the mathematical physic’s fundamental problems, which have deep physical interpretation. Historically it is associated with a Rayleigh’s hypothesis. This paper discusses physical sense of the mentioned mathematical notion. How far from the real surface can be continued scattered field analyticity inside or outside of the object? Is it possible to present the scattered field with the functions which singularities are being the scattered field’s one? The main question was on the approach which is considered to be affected by Rayleigh’s hypothesis especially for near-field calculations. Mathematicians were deal with this analyticity during solution some particular problems cases. Problems arise when it is necessary to consider SFS, when we have to take in account the positional relationship between SFS and Green function’s singularities. How it depends the rate of convergence results of calculations on their positional relationship. According of our understanding, the Rayleigh hypothesis assumes that in any way scattered field can be found by this algorithm. In first part of presentation will be discussed more details about our **old vision** on the mentioned problems. The results provide confirmation of criteria for the validity of Rayleigh hypothesis that have been criticized by us and several investigators. Further, our **new vision** on the Rayleigh hypothesis is discussed based on several new results of computer simulations. Possible or actual singularities in the analytic continuation of the scattering problem solutions for the two and tree dimensional Helmholtz equation are studied for the Rayleigh hypothesis validity. The computer simulations uses for the solution particular problems, relates to the several types of singularities, with the elementary source as well as boundary curve’s singularities in the solution. All mentioned topics will be discussed during oral presentation.

**დრეკად ზოლში ბზარის ბავრცელების
ანტიბრტქელი ამოცანა**

გურამ ბალათურია*, გიორგი ბალათურია**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,
საქართველო, nogela@yahoo.com

** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ნ. მუსხელიშვილის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი,
საქართველო, nogela@gmail.com

განხილულია შედგენილ დრეკად ზოლში ბზარის
გავრცელების ამოცანა ძვრის დეფორმაციის პირობებში.
ამოცანა ამოხსნილია ფურიეს ინტეგრალური გარდაქმ-
ნისა და ვინერ-ჰოპფის მეთოდის [1] გამოყენებით. დადგე-
ნილია ძაბვის ინტენსივობის კოეფიციენტი.

ლიტერატურა

1. Noble. Methods based on the Wiener-Hopf technique. Pergamon
press, London-New York-Paris-Los Angeles, 1958.

**თერმოდრეკადობის წრფოვი თეორიის ნეიმანის
ამოცანის ეფექტური ამოხსნა სფერული რბოლისათვის
მიცროტემპერატურის ბათვალისწინებით**

ლამარა ბიწაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო, lamarabitsadze@yahoo.com

ნაშრომში აგებულია თერმოდრეკადობის წრფოვი თეო-
რიის სტატიკის განტოლებათა სისტემისათვის მიკრო-
ტემპერატურის გათვალისწინებით ამონახსნის ზოგადი
წარმოდგენის ფორმულები, რომლებსაც ვიყენებთ
ნეიმანის სასაზღვრო ამოცანის ამოხსნისთვის სფერული

რბოლისათვის. მიღებული ამონახსენი წარმოდგენილია
მწკრივების სახით.

ლიტერატურა

1. Grot, R. A.: Thermodynamics of a continuum with micro-
temperatyre. Int. J. Engng. Sci.7, 801-814, 1969.
2. Iesan, D. and Quintanilla, R.: On a theory of thermoelasticity
with microtemperatures J. Thermal Stresses, vol. 23, pp. 199-
215, 2000
3. Scalia, A, Svanadze, M. and Tracina, R.: Basic theorems in the
equilibrium theory of thermoelasticity with microtemperatures
J. Thermal Stresses, vol. 33, 721-753, 2010.
4. Smirnov V.I.: Course of Higher Mathematics, v.III, part 2,
Moscow, (1969).
5. Natroshvili, D.G. and Svanadze, M.G.: Some Dinamical
Problems of the Theory of Coupled Thermoelasticity for the
Piecewise Homogeneous Bodies, Proceedings of I.Vekua
Institute of Applied Mathematics, N10, pp. 99-190, Tbilisi,
1981

**ნაბეზობის რეალური სეისმური რუსურის
შუსაფასებლად სუსტი რყევის ბამოყენების ერთი
მათემატიკური მოდელი**

გურამ გაბრიჩიძე

სუსტი რყევისას ნაბეზობის ქცევის შესწავლა
მისი რეალური ტექნიკური მდგომარეობის შესაფასებლად,
ან მისი დინამიკური მახასიათებლების დასადგენად,
ფართოდ გავრცელებული მეთოდია მთელს მსოფლიოში.
იგი გამოირჩევა თავისი სიიფით, მობილურობით, თუმცა
გააჩნია გარკვეული შეზღუდვებიც. საქმე იმაშია, რომ
სუსტიდან რეალურზე გადასვლის პროცედურა არ არის

ცალსახად განპირობებული და გარკვეულ დაშვებებს ემყარება. ამის გამოა, რომ პრაქტიკაში ამ მიდგომის გამოყენებისას, სუსტი რყევებისას ნაგებობაზე ექსპერიმენტული დაკვირვებისას. მოპოვებული მასალის გადამუშავებისას სხვადასხვა ალგორითმებსა და ტექნოლოგიებს გვთავაზობენ, რაც ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის, კერძოდ, მისი სეისმომდებლობის განსხვავებული შეფასების ალბათობას ქმნის. წარმოდგენილ სტატიაში შემოთავაზებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გადამუშავდეს სუსტი ზემოქმედებისას ჩაწერილი გადაადგილებები, რომ დასაბუთებულად ვიმსჯელოთ შენობის ქცევაზე მის ფუძეში რეალური სეისმური ტალღის (სეისმოგრამის) გავლისას.

კუპრაძის დამხმარე გამომსწიველების მეთოდი და რეალის ჰიპოთეზა

რევაზ ზარიძე, დ. კაკულია, ი. პეტოევი, ვ. ტაბატაძე
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამოყენებითი
 ელექტროდინამიკის და რადიოტექნიკის ლაბორატორია,
 ჭავჭავაძის პრ. 3, თბილისი, საქართველო
 ელ-მის: revaz.zaridze@tsu.ge

1907 წელს ლორდმა რელეიმ გამოაქვეყნა ნაშრომი “On the Dynamical Theory of Gratings”, 1907 RSPSA.79, 08. მან გამოიყვანა სინუსოიდალური ფორმის გამტარი ზედაპირიდან არეკვლილი ელ-მაგ. ტალღის გამოსახულება მართობული დაცემის შემთხვევაში. 1953 წლამდე არ არსებობდა ეჭვი ამ წარმოდგენის მიმართ, სანამ ლიპმანმა (B. Lippmann, J. Opt. Soc. Am. 43, 1953, 408.) არ გამოთქვა აზრი, რომ გაბნეული ველის წარმოდგენა ასეთი სახით არ არის მართებული ზედაპირის პარამეტრების ნებისმიერ

შემთხვევაში. ამის შემდეგ გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი რელეის მიდგომის მართებულობასთან დაკავშირებით. ნაჩვენებია, რომ რელეის წარმოდგენის მართებულობა გაბნეული ველის ანალიზურ არეში სინგულარობების განაწილებაზე არის დამოკიდებული, რომელიც, ზოგადად, რთულ ამოცანას წარმოადგენს. მსჯელობა და კამათი ამ თემაზე დღემდე გრძელდება. (A. Voronovich. “Rayleigh Hypothesis in the Theory of Wave Scattering from Rough Surfaces”, 2010). <http://electroscience.osu.edu/article.cfm?id=5657>

1967 წელს ვ. კუპრაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი: «Некоторые приближенные методы решения задач мат. физики», Успехи Математических Наук, Москва, 1967. ამ თეორიულ ნაშრომში მან წარმოადგინა მათ.-ფიზიკის ამოცანების ამოხსნის ოთხი მიახლოებითი მეთოდი. კერძოდ, ელექტრომაგნიტური ტალღის გაბნევის ამოცანა დიფერენციალური და ასევე აკუსტიკურის - მყარ სხეულზე. პრაქტიკული ამოცანებისთვის მორგების შემდეგ მას დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი (დგმ) ვუწოდეთ. დეტალები იქნება მოხსენებული კონფერენციაზე.

დგმ-ის ძირითადი იდეა მდგომარეობს გაბნეული ველის წარმოდგენაში სათანადო გრინის ფუნქციებით, რომლებიც იმყოფებიან შესაბამისი ველის განსაზღვრის არის გარეთ. ამისათვის მან დაამტკიცა ამ ფუნქციების წრფივად დამოუკიდებლობა და სისრულე L^2 ლეგენის სივრცეში. ეს საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ შესაბამისი ინტეგრალური განტოლების სინგულარობები და იზრდება საგრძნობლად ამონახსნის კრებადობა. მან ინტუიციურად დაუშვა, რომ გაბნეული ველი ანალიზურად გაგრძელებადია სხეულის ზედაპირის მიღმა. აქ იკვეთება მკაფიო კავშირი რელეისა და კუპრაძის მიდგომებს შორის.

გაბნეული ველის რეალური სინგულარობების და მისი ანალიზურობის არის შესწავლა მათ.-ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა და მას გააჩნია ღრმა ფიზიკური აზრი. ისტორიულად ეს დაკავშირებულია რელეის ჰიპოთეზასთან.

ამ ნაშრომში განხილულია კავშირი ფიზიკურ აზრსა და მათემატიკურ წარმოდგენის შორის. რამდენად შორს შეიძლება ანალიზურად გაგრძელებულ იქნას ველი სხეულის ზედაპირიდან? როდის არის შესაძლებელი გაბნეული ველის განსაზღვრა სასურველი სიზუსტით? შესაძლებელია თუ არა გაბნეული ველის წარმოდგენა ფუნქციებით რომელთა სინგულარობები ველის სინგულარობების მიღმაა? მთავარი კითხვაა: რამდენად სამართლიანია რელეის მიდგომა ამოცანის ამოხსნის დროს, განსაკუთრებით ახლო ველის გამოთვლისას? რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე გაცემულია პასუხები ამ კითხვებზე. კერძოდ, ამოხსნილია გაბნევის ამოცანები ორ და სამგანზომილებიან შემთხვევაში. მოხსენების დროს ვისაუბრებთ რელეის ჰიპოთეზის სამართლიანობაზე და მის ღრმა ფიზიკურ აზრზე.

მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენების შესახებ არადამრეცი გარსებისათვის

თენგიზ მეუნარგია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
tengiz.meunargia@viam.sci.tsu.ge

არადამრეცი გარსებისათვის საბაზისო ვექტორებს აქვთ სახე

$$\vec{R}_\alpha = (a_\alpha^\beta - x_3 b_\alpha^\beta) \vec{r}_\beta, \quad \vec{R}^\alpha = \mathcal{G}^{-1} [a_\alpha^\beta + x_3 (b_\alpha^\beta - 2H a_\alpha^\beta)] \vec{r}^\beta,$$

$$\vec{R}_3 = \vec{R}^3 = \vec{n}, \quad (\mathcal{G} = 1 - 2Hx_3 + Kx_3^2),$$

ხოლო დამრეცი გარსებისათვის გვაქვს

$$\vec{R}_\alpha \equiv \vec{r}_\alpha, \quad \vec{R}^\alpha \equiv \vec{r}^\alpha, \quad \vec{R}_3 = \vec{R}^3 = \vec{n},$$

სადაც a_α^β და b_α^β წარმოადგენენ შუაზედაპირის I და II კვადრატული ფორმების კოეფიციენტებს, $H = \frac{1}{2} b_\alpha^\alpha$,

$K = b_1^1 b_2^2 - b_1^2 b_2^1$ წარმოადგენენ შუაზედაპირის საშუალო და მთავარ სიმრუდეებს, შესაბამისად.

მცირე პარამეტრ ε -ს აქვს სახე

$$\varepsilon = \frac{h}{R}, \quad -h \leq x_3 \leq h,$$

სადაც $2h$ გარსის სისქეა, \vec{R} შუაზედაპირის სიმრუდის რაიმე მახასიათებელი რადიუსია, მაშინ საბაზისო ვექტორებს $x_3 = const$ ზედაპირზე ექნება სახე

$$\vec{R}_\alpha = (a_\alpha^\beta - \varepsilon b_\alpha^\beta) \vec{r}_\beta, \quad \vec{R}^\alpha = \mathcal{G}^{-1} [a_\alpha^\beta + \varepsilon (b_\alpha^\beta - 2H a_\alpha^\beta)] \vec{r}^\beta.$$

შემდეგ, ი. ვეკუას მეთოდით ხდება სამგანზომილებიანი ამოცანის ორგანზომილებიანი ამოცანებზე რედუცირება, რომლის მიმართ უკვე გამოიყენება მცირე პარამეტრის მეთოდი.

ლიტერატურა

1. Vekua, I.: On Construction of Approximate Solutions of Equations of the Shallow Spherical Shell. Int. Solids Struct. 5 (1969), 991-1003.
2. The method of Small Parameter for the Shallow Shells. Bulletin of TICMI, 8 (2004), 1-13.

**ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობების
ლითონკონსტრუქციის კვლევა**

ნიკო ნარეშელაშვილი*, ვაჟა გოგაძე**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,
საქართველო,

**აკ. წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ამწის შრომისუნარიანობა, საიმედოობა და ექსპლუატაციის უსაფრთხოება დიდადაა დამოკიდებული ლითონკონსტრუქციის სიმტკიცეზე, რომლის რღვევის მიზეზი, როგორც ამწის არასწორი ექსპლუატაცია და მომსახურება, ასევე მისი ნორმალური, მაგრამ ხან-გრძლივი მუშაობაა.

ექსპლუატაციის პროცესში ამწეების მექანიზმებში და ლითონკონსტრუქციაში წარმოიშობა სხვადასხვა სახის გაუმართაობა და დაზიანება. მისი ლითონკონსტრუქციის ანალიზის საფუძველზე დადგენილია, ყველაზე დატვირთულ ადგილებში ლითონის გადაღლის გამო კაპილარული ბზარების სახით გამოვლენილ დაზიანებათა წარმოქმნის რაოდენობრივი და დროული თანაფარდობა. დაზიანებათა 62% გამოწვეულია კუთხეში ბუქსების ჩამაგრების ადგილებში ხუთწლიანი მუშაობის შემდგომ და მაქსიმუმს აღწევს ექსპლუატაციის ათი წლის შემდეგ, რომლის შემდგომაც მათი წარმოქმნის ალბათობა მცირდება. ბუქსების დაზიანებათა რაოდენობა ლითონკონსტრუქციაში შეადგენს მთელ დაზიანებათა 51%-ს ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ექსპლუატაციის პერიოდში. ძირითადი ძელების დაზიანებათა ალბათობა 27%-იანია და წარმოიქმნება ამწის ათი-თხუთმეტ წლიანი ექსპლუატაციის პერიოდში. ბუქსების მიმდებარე ვერტიკალურ კედლებზე ბზარი წარმოიქმნება სხვადასხვა კვეთების მონაცვლეობის ადგილებში, განსაკუთრებით იქ, სადაც დადუღებულია სიხისტის წიბო. ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი უხარისხო შენადუღი ნაკერია. ძირითად ძელებში ბზარების წარმოქმნის

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ადგილობრივ დეფორმაციათა კონცენტრაციაა, გამოწვეული რელსების არასწორი გადაბმით, ან რელსის განივი კვეთის მკვეთრი ცვალებადობით.

ამწის ექსპლუატაციისას ელექტრო მოწყობილობების წილად გაუმართაობათა 80% მოდის, გამოწვეული არასტანდარტული ძაბვის მიწოდებით; ტვირთამწვეი ოპერაციების შესრულების ჭარბი ინტენსივობით; პროფილაქტიკური სამუშაოების არადროული ჩატარებით; ელ. მოწყობილობის დაბალი ხარისხით, გადახვევით საპროექტო მონაცემებიდან და ელექტრო მოწყობილობათა სიძველით, რაც იწვევს საიზოლაციო მასალის რღვევას.

პასპორტით დადგენილი საექსპლუატაციო ვადის გასვლის შემდგომ ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობების ექსპლუატაციის ვადის შესაძლო გაგრძელების მიზნით, საჭიროა ჩატარდეს მისი სრული ტექნიკური დიაგნოსტიკა ურღვევი კონტროლის მეთოდით, რომლის საფუძველზეც ამწის ტექ. მდგომარეობის დასკვნასთან ერთად გაიცემა რეკომენდაციები არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

**ვიქტორ კუპრაძის მემკვიდრეობა ღრეკალოზის
სამბანზომილებიან თეორიაში:
პოტენციალთა მეთოდი და ფუნდამენტურ ამონახსნთა
მეთოდი**

დავით ნატროშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მათემატიკის
დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო
&
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი
მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
natros@hotmai.com

მოსხენება ეხება ვიქტორ კუპრაძის სამეცნიერო
მემკვიდრეობას ღრეკალოზის სამბანზომილებიან თეორიაში.
ჩვენ შევეხებით ორ მთავარ მიმართულებას:

- პოტენციალთა მეთოდის განვითარებას ღრეკალოზის თეორიის სივრცული ამოცანებისთვის და
- ფუნდამენტურ ამონახსნთა მეთოდს.

ჩვენ მიმოვიხილავთ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ ვ.კუპრაძის სამეცნიერო სკოლის მიღწევებს ღრეკალოზის თეორიის სტატიკის, დინამიკის და მდგრადი რხევის ამოცანების შესწავლაში სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების გამოყენებით.

ჩვენ ასევე მიმოვიხილავთ ვ. კუპრაძის სკოლის შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია ადვილად რეალიზებად უნივერსალურ მეთოდთან ფუნდამენტურ ამონახსნთა მეთოდთან.

ფინალურ ნაწილში ჩვენ შევეხებით პოტენციალთა თეორიის განვითარების ახალ თანამედროვე მიმართულებებს და ზოგიერთ ღია პრობლემას.

**იზოტროპული არაერთგვაროვანი მართკუთხა
პარალელეპიპედის თერმოდრეკალოზის სასაზღვრო
ამოცანების ანალიზურ ამონახსნთა ერთი კლასისი
შესახებ**

გიორგი ნოზაძე*, ხომასურიძე ნური**
*სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი,
საქართველო, g_nozadze@yahoo.com
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო

დეკარტის საკოორდინატო სისტემაში x, y, z იზოტროპული არაერთგვაროვანი მართკუთხა პარალელეპიპედისათვის $\Omega = \{ 0 < x < x_1, 0 < y < y_1, 0 < z < z_1 \}$ აიგება თერმოდრეკალოზის სასაზღვრო ამოცანების ანალიზურ ამონახსნთა ერთი კლასი.

მართკუთხა პარალელეპიპედის გვერდითა საკოორდინატო ზედაპირებზე

$x = 0, x = x_1, y = 0, y = y_1$ სრულდება სიმეტრიის და ანტისიმეტრიის სასაზღვრო პირობები. დარჩენილ ორ საკოორდინატო ზედაპირზე $z = 0, z = z_1$ სასაზღვრო პირობები მოიცემა ნებისმიერად.

ამონახსნის ასაგებად გამოიყენება ამონახსნის წარმოდგენა სამი ჰარმონიული ფუნქციის სახით. ამონახსნთა ასეთი სახით წარმოდგენის და ცვლადთა განცალკების მეთოდის გამოყენებით გადაადგილების ვექტორის კომპონენტები წარმოიდგინება ორმაგი უსასრულო მწკრივების სახით. მწკრივების შესაკრებები წარმოადგენს ტრიგონომეტრიული და ექსპონენციალური ფუნქციების ნამრავლს.

მადლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო სამუშაოს №10/17 ფარგლებში.

ლიტერატურა

1. N. Khomasuridze . Thermoelastic equilibrium of bodies in generalized cylindrical coordinates. Georgian Math. J.; 5 (1998), №6, 521-544

ერთი საკონტაქტო ამოცანის შეასახებ ბრტყელი დრეკადობის თეორიის ორადგიმული არისათვის

ნანა ოდიშელიძე*,

ფრანცისკო კრიადო-ალდეანუევა**,

ფრანცისკო კრიადო ***

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო, nana_georgiana@yahoo.com

**მალაგის უნივერსიტეტი, კამპუს ელ ეხიდო, გამოყენებითი ფიზიკის II დეპარტამენტი, პოლიტექნიკური სკოლა, მალაგა, ესპანეთი, fcaldeanueva@ctima.uma.es

***მალაგის უნივერსიტეტი, კამპუს ტეატინოს, სტატიკის და ოპერაციული კვლევათა მეცნიერებათა დეპარტამენტი, მალაგა, ესპანეთი, f_criado@uma.es

სტატიაში შესწავლილია ბრტყელი დრეკადობის თეორიის ამოცანა ორადგიმული არისათვის, რომლის გარე საზღვარი წარმოადგენს ტოლფერდა ტრაპეციას, ხოლო შიდა საზღვარი არის საძიებელი თანაბრადმტკიცე ხვრელი, რომელიც შეიცავს კოორდინატთა სათავეს. ტრაპეციის ღერძი ემთხვევა ღერძს Ox. მოცემული დრეკადი სხეულის საზღვრის ყოველ წრფივ მონაკვეთებზე მოდებულია სწორფუძიანი აბსოლიტურად გლუვი მყარი შტამპები, რომლებზეც მოქმედებს შეყურსული ძალები. სახუნი არ არსებობს მოცემული დრეკადი სხეულის ზედაპირსა და შტამპებს შორის. საძიებელ თანაბრადმტკიცე კონტურზე მოქმედებენ თანაბრად განაწილებული ნორმალუ-

რი ძაბვები. საზღვარზე მხების ძაბვები უდრის ნოლს და ნორმალური გადაადგილებები უბან-უბან მუდმივებია. საზღვრის წრფივ მონაკვეთებზე მოცემულია მესამე ამოცანის სასაზღვრო პირობები. კომპლექსური ანალიზის მეთოდების გამოყენებით [1], განისაზღვრება თანაბრად მტკიცე კონტური და სხეულის დაძაბული მდგომარეობა.

მაღლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო ჩემ კოლეგებთან ერთად მალაგის უნივერსიტეტიდან.

ლიტერატურა

5. Muskhelishvili, N.: Some Basic Problems of the Mathematical Theory of Elasticity. Fundamental Equations, Plane Theory of Elasticity, Torsion and Bending, XXXI. Noordhoff International Publishing, Leyden, (1975).

სამფენიანი ფილის დრეკადი წონასწორობა თერმული ველის ბათვალისწინაში

ნონა ოზბეთელაშვილი, ია რამიშვილი

* საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, nonaozbetelashvili @ gmail.com, ia_ramis@yahoo.com

სამფენიანი სქელი ფილისათვის დასმულია და ანალიზურად ამოხსნილია თერმოდრეკადობის სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა. სამფენიანი ფილის ორი ფენა, ზედა და ქვედა ფენა ტრანსვერსალურად იზოტროპულია, ხოლო შუა ფენა იზოტროპულია. ფილის გვერდით ზედაპირებზე მოცემულია სიმეტრიის პირობები, ხოლო ზედა და ქვედა ზედაპირებზე ნებისმიერი სასაზღვრო პირობები. საკონტაქტო ზედაპირებზე მოცემულია ხისტი კონტაქტის პირობები.

დასმული ამოცანის ამოხსნა ხდება ფურიეს მეთოდით

და ამონახსნები წარმოდგენილია ორმაგი მწკრივების სახით.

მაღლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ლიტერატურა

1. Khomasuridze, N.: Thermoelastic equilibrium of bodies in generalized cylindrical coordinates. Georgian Mathematical Jurnal, 1998,v.5, №6

სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა ერთი სისტემის მიახლოებითი ამოხსნის შესახებ

არჩილ პაპუკაშვილი*, გელა მანელიძე**, მერი შარიკაძე*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,

apapukashvili@rambler.ru, meri.sharikadze@viam.sci.tsu.ge

**ე.კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური 199 საჯარო სკოლა, თბილისი, საქართველო, gelamanelidze@gmail.com

ნაშრომში შესწავლილია ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) სიბრტყისთვის დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების ამოხსნა ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდით. ვიხილავთ ორ შემთხვევას: **A** ამოცანა, როდესაც ბზარი კვეთს გამყოფ საზღვარს, **B** ამოცანა, როდესაც ბზარი გამოდის გამყოფ საზღვარზე. შესწავლილია ამონახსნის ყოფაქცევის საკითხები ბზარის ბოლოების მახლობლობაში და გამყოფ საზღვარზე (იხ. [1]). წარმოდგენილ ნაშრომში მოყვანილია მიახლოებითი ამოხსნის ზოგადი სქემები და

ჩატარებულია რიცხვითი გათვლები კოლოკაციისა და ასიმპტოტური მეთოდების გამოყენებით.

განვიხილოთ უძრავი განსაკუთრებულობის შემცველი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა შემდეგი სისტემა $\rho_k(x)$ მხები ძაბვების ნახტომების მიმართ (**A** ამოცანა იხ. [1])

$$\int_0^1 \left(\frac{1}{c-x} - \frac{a_1}{c+x} \right) \rho_1(t) dt + b_1 \int_{-1}^0 \frac{\rho_2(t) dt}{c-x} = 2\pi f_1(x), \quad x \in (0; 1), \quad (1)$$

$$b_2 \int_0^1 \frac{\rho_1(t) dt}{c-x} + \int_{-1}^0 \left(\frac{1}{c-x} - \frac{a_2}{c+x} \right) \rho_2(t) dt = 2\pi f_2(x), \quad x \in (-1; 0),$$

სადაც, $\rho_k(x), f_k(x)$ შესაბამისად საძიებელი და მოცემული ნამდვილი ფუნქციებია, ხოლო a_k, b_k მუდმივებია,

$$a_k = \frac{1-\gamma_k}{1+\gamma_k}, \quad b_k = \frac{2}{1+\gamma_k}, \quad \gamma_1 = 1/\gamma_2, \quad \gamma_2 = \frac{b_{22}^{(2)}}{b_{11}^{(1)}}$$

$$f_k(x) = \frac{\lambda_k}{b_{kk}^{(k)}} q_k(x), \quad f_k(x) \in H, \quad \rho_k(x) \in H^*, \quad k = 1, 2.$$

ნაშრომში გადმოცემულია (1) ინტეგრალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ახალი ალგორითმები დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით (იხ. [2]), როგორც თანაბრად დაშორებულ, ასევე არათანაბრად დაშორებულ კვანძების შემთხვევაში.

კერძო შემთხვევაში, როდესაც ბზარი გამოდის გამყოფ საზღვარზე (**B** ამოცანა) გვაქვს უძრავი განსაკუთრებულობის შემცველი ერთი სინგულარული ინტეგრალური განტოლება მხები ძაბვების ნახტომების მიმართ (იხ. [1])

$$\int_0^1 \left(\frac{1}{c-x} + \frac{a_1}{c+x} \right) \rho(t) dt = 2\pi f(x), \quad x \in [0; 1]. \quad (2)$$

ნაშრომში გადმოცემულია (2) ინტეგრალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ახალი ალგორითმები ასიმპტოტური მეთოდის (იხ. [3]) ალტერნატიული მეთოდით.

შემოთავაზებული სათვლელი ალგორითმები აპრობირებულია კონკრეტული პრაქტიკული ამოცანებისთვის და თვლის შედეგები კარგ მიახლოებაშია თეორიული კვლევით მიღებულ შედეგებთან.

ლიტერატურა

1. Papukashvili, A.: Antiplane problems of theory of elasticity for piecewise-homogeneous orthotropic plane slackened with cracks. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 169 (2004), no. 2, 267-270.
2. Belotserkovski, S.M., Lifanov I.K.: Numerical methods in the singular integral equations and their application in aerodynamics, the elasticity theory, electrodynamics. Moskov, "Nauka", 1985. p. 256. (in Russian).
3. Papukashvili, A., Manelidze, G.: Algorithms of approximate solving of some linear operator equations containing small parameters. International Journal of Applied Mathematics and Informatics. Issue 4. Volume 2, 2008. p.114-122.

ვანტური სატრანსპორტო სისტემის სავალი ნაწილის სტატიკური და დინამიკური გათვლის ზოგიერთი საკითხის შესახებ

დავით პატარაია*, ე. წოწერია, გ. ნოზაძე*, გ. ჯავახიშვილი*, თ. ჯავახიშვილი, რ. მაისურაძე*, ბ. შევარდენიძე, გ. ფურცელაძე
*სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

განხილულია ვანტური სატრანსპორტო სისტემის სავალი ნაწილის, როგორც სტატიკურად ურკვევი სისტემის სტატიკური და დინამიკური გათვლის საკითხები. გათვლები შესრულებულია Lira 9.6 პროგრამულ გარემოში სასრული ელემენტების და სამთო ინსტიტუტში დამუშავებული ორიგინალური პროგრამული პაკეტის გამოყენებით.

გამოკვლეულია სისტემის სავალი ნაწილის საკუთარ სისწირეთა სპექტრი პროგრამული პაკეტის Solid Work 12 – ის გამოყენებით. ნაჩვენებია სისტემაში იძულებითი რხე-

ვით გამოწვეული რეზონანსული სისწირის განვითარების შესაძლებლობა, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს სისტემის მდგრადობაზე.

მადლობა. სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის № 1-7/60 ფარგლებში

ლიტერატურა

1. Патарая, Д.И., Нозадзе, Г.Ч., Джавахишвили, Г.В., Джавахишвили, Т.Л., Цоцერия, Э. Ш., Маисурадзе, Р.Г.: Усовершенствование конструкции вантовой транспортной установки, Сборник научных трудов, Стальные канаты № 8 «Экология» ; Одесса ст. 190 -198, 2010 г.

დრეკად ნარევთა ბრტყელი თეორიის სტატისტიკის ძირითადი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა მრავალაღმუხლ არეში დ. შერმანის მეთოდით

კოტე სვანაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი, ქუთაისი საქართველო
kostasvanadze@yahoo.com

ნაშრომში, განზოგადებული კოლოსოვ-მუსხელიშვილის ფორმულების და დ. შერმანის მეთოდის გამოყენებით სასურველი მრავალაღმუხლი არეს შემთხვევაში ამოხსნილია დრეკად ნარევთა წრფივი თეორიის სტატისტიკის ძირითადი ბრტყელი სასაზღვრო ამოცანები, როცა საზღვარზე მოცემულია გადაადგილების ვექტორი (პირველი ამოცანა) და ძაბვის ვექტორი (მეორე ამოცანა)

**მაღლივი შენობის სეისმურ ზემოქმედებაზე
ბაანბარიშობის სპეციფიკის ბათვალისწინება ქართულ
სეისმურ ნორმების ახალ რედაქციაში**

ლალი ქაჯია*, ცილა ცისკრელი**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო Qajaia@gmail.com

** თბილისი, საქართველო, tsiala.tsiskreli@gmail.com

საქართველოს მთელი ტერიტორია ხასიათდება სეისმური აქტიურობის გამოვლინების მაღალი დონით. მიწისძვრების ფოკუსური მექანიზმი ძირითადად ნაწივის (გვერდული ძვრის) ბუნებისაა. მიწისძვრის კერები განლაგებულია მინიმალური სიღრმით 10-15კმ. საქართველოში არ არსებობს რეგიონი ტექტონიკური რღვევის გარეშე. საქართველოს სეისმური საფრთხის ალბათური რუკის მიხედვით მიწისძვრა შეიძლება გამოვლინდეს აქტუებით 0.1g- დან 0.5g-ის ფარგლებში.

სეისმური უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის ერთერთ სტრატეგიულ მიმართულებას და მას შესაბამისი ნორმები უნდა არეგულირებდეს. დღეს ჩვენს ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს მაღლივი მშენებლობები. საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)/1/, შექმნილია არა თანამედროვე მაღლივი შენობებისათვის, რომელთა გლობალურ რეაქციაში შესაძლოა საკუთარი რხევის მრავალი ფორმა მონაწილეობდეს, არამედ დაბალი და საშუალო სიმაღლის შენობებისათვის, რომელთა რეაქციაში ჩვეულებრივად პირველი გადატანითი ფორმა დომინირებს. ნორმები დაფუძნებულია დრეკადი გაანგარიშების მეთოდებზე. მოქმედი სეისმური ნორმები იძლევა მხოლოდ ზოგად რეკომენდაციებს მაღლივი მშენებლობაზე და არ ასახავს ასეთი შენობების სეისმურ ზემოქმედებაზე გაანგარიშების სპეციფიკას. ნორმებით შეუძლებელია: რხევის მაღალი ფორმების გავლენის დადგენა შენობის სეისმურ რეაქციაზე, შენობის სიმაღლის, კონსტრუქციის ფორმის და

შესაძლო რეაქციის დონის შესაბამისი შინაგანი ჩაქრობის სიდიდის შერჩევა, სამშენებლო მოედნის გრუნტის პირობებისა და დასაძირკვლების ტიპის გავლენის დადგენა შენობის სეისმურ რეაქციაზე და მის ქცევაზე, არ არის მოცემული სართულშორისი გადახრის ზღვარი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღლივი შენობებში ყოველი სართულის ფარდობითი გადაადგილების შესაფასებლად, არარის გათვალისწინებული ტექტონიკური რღვევის სიახლოვეს მშენებარე მაღლივი შენობის სპეციფიკური ქცევა და სხვა. ამ ეფექტების პროგნოზირებისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს არაწრფივი რეაქციის დროში განსაზღვრის და მრავალდონიანი დაპროექტების, რომლის ძირითადი კრიტიკული პარამეტრია-დეფორმაცია, მეთოდები. ამავე დროს სულ მცირე ქცევის ორი დონის შეფასება უნდა მოხდეს: 1. საექსპლოატაციო დონე უმნიშვნელო დაზიანებით, მიწისძვრის 50 წლიანი განმეორადობის შემთხვევაში შენობის მთელი სისტემის ფუნქციონირების შენარჩუნებით;

2. კოლაფსის პრევენცია დამანგრეველი მიწისძვრის ზემოქმედება, რომელიც მოსალოდნელია 2500 წლიანი განმეორადობის პერიოდისათვის./2,3/.

აუცილებელია ქართული სეისმური ნორმების ახალ რედაქციაში შეტანილი იყოს ზემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკური საკითხები.

მაღლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტში 2010წ. თბილისი, საქართველო.

ლიტერატურა

1. საქართველოს სამშენებლო ნორმები და წესები. “სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.09), 2010
2. Recommendations for the Seismic Design of High-rise Buildings. A Consensus Document- CTBUH Seismic Working Group. CTBUH Seismic Design Guide, 2008.

**ზოგიერთი საკითხი გამტარი სითხის
არასტაციონარული დინებისა მილში, როდესაც
მოქმედებს გარეგანი მაგნიტური ველი**

ჯონდო შარიქაძე*, ბადრი ცუცქირიძე*, ლევან ჯიქიძე***

*ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მათემატიკის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო, b.tsutskiridze@mail.ru

*** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თეორიული მექანიკის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო, levanjikidze@yahoo.com

შესწავლილია გამტარი ბლანტი არაკუმშვადი სითხის არასტაციონარული დინება მართკუთხოვან მილში, როდესაც დერძის მართობულად მოქმედებს ერთგვაროვანი მაგნიტური ველი. სითხის დინება გამოწვეულია წნევის პულსაციური დაცემით. მიღებულია დასმული ამოცანის ზუსტი ამონახსნები. ნაპოვნია სითხის ფიზიკური მახასიათებლები.

§1-ში დასმულია ზოგადი ამოცანა და გადმოცემულია მისი ამოხსნის ზოგადი მეთოდი, როდესაც გვაქვს ნებისმიერი ფორმის მილი.

§§2-4 დეტალურად შესწავლილია გამტარი სითხის დინება მართკუთხოვან მილში, როდესაც მისი კედლები ან იდეალურად გამტარია, ან გაუმტარია, ან ორი კედელი იდეალურად გამტარია, ხოლო დანარჩენი ორი გაუმტარია. ბოლო §5-ში შესწავლილია კერძო შემთხვევა გამტარი სითხის დინებისა წრიული ფორმის მილში, როდესაც $R = R_m$.

ლიტერატურა

1. Loitsiansky, L.G.: *Mechanic of a fluid and gas*. Moscow: Sciences, 1987.-840p. (in Russian).

2. Vatazin, A. B., Lubimov G. A., Regirer C. A.: *Magnetohydrodynamic Flow in Channels*. Moscow: Nauka, 1970. -672 p. (In Russian).

3. Landau, L.A., Lifshits, E.M.: *Electrodynamics of continua*. GITTL, Moscow, 1982. -620p. (In Russian).

4. Tsutskiridze, V.N., Jikidze, L, A.: *Heat transfer in tubes with porous walls under internal heat sources*//*Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute*, Vol. 154, 2010, pp.127-133.

5. Sharikadze, J., Tsutskiridze, V., Jikidze, L.: *The flow conducting liquid in magnetohydrodynamics tubes with heat transfer*//*International Scientific Journal IFToMM “Problems of Mechanics”*, Tbilisi, 2011, № 3(44), pp. 63--70.

6. Ditkin, V.A., Prudnikov, A.P.: *Integrated transformations and operational calculus*. Moscow: Nauka, 1974. - 542 p. (In Russian).

**სტოქსის სისტემის ზოგიერთი ევოლუციური ამოხსნის
შესახებ ზრილუბიანი ცილინდრისათვის
ღერბ-სიმიტრიულ შემთხვევაში**

ნინო ხატიაშვილი*, ქრისტინე ფირუმოვა*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო, ninakhatia@gmail.com

შესწავლილია ელიფსოიდალურ სხეულთა სისტემის გარსდენა ცილინდრულ არხში ბლანტი უკუმშვადი სითხით. მცირე სიბლანტის შემთხვევაში სინქარის კომპონენტები აკმაყოფილებენ სტოქსის განტოლებათა სისტემას. ეს სისტემა განხილულია იმ შემთხვევაში, როდესაც წნევის დაცემა მუდმივია. იდეალური სითხისათვის ამოხსნების მოდიფიკაციის შედეგად მიღებულია ევოლუციური ამოხსნები ბლანტი სითხისთვის.

**მიკროთერმოდრეკადი დაკაბულ-დეფორმირებულ
მდგომარეობის შესახებ ზოგიერთი სასაზღვრო და
სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა განზოგადებულ
ცილინდრულ და სფერულ კოორდინატებში**

ნური ხომასურიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
ო. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო, khomasuridze.nuri@gmail.com

ნაშრომში, განზოგადებულ ცილინდრულ და სფერულ
კოორდინატებში, განიხილება სამგანზომილებიან დიფერ-
ენციალურ განტოლებათა სისტემა, რომელიც აღწერს
ისეთი იზოტროპული დრეკადი სხეულების თერმოდრეკად
წონასწორობას, რომელთა მიკროელემენტებიც კლასი-
კური გადაადგილებისა და ტემპერატურული ველის გარ-
და ხასიათდებიან ასევე მიკროტემპერატურითაც. დასმუ-
ლია მიკროთერმოდრეკადობის სასაზღვრო და სასაზღვ-
რო-საკონტაქტო ამოცანათა კლასი აღნიშნული საკო-
ორდინატო სისტემების საკოორდინატო ზედაპირებით
შემოსაზღვრული სხეულებისათვის და ამოცანათა ამ
კლასისათვის აგებულია ანალიზური ამონახსნები.

მიღებული ამონახსნებიდან, თუ გავუტოლებთ ნულს
მიკროტემპერატურული ზემოქმედების მახასიათებელ
თერმულ კოეფიციენტებს ($k_1 = k_2 = \dots = k_6 = 0$), მივიღებთ
თერმოდრეკადობის შესაბამისი კლასიკური ამოცანების
ამონახსნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის მიზანია სასაზღვრო
და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანათა კლასისათვის
ანალიზური ამონახსნის აგება და არა იმის კვლევა, თუ
რამდენად გამართლებულია ან მიზანშეწონილია, საზო-
გადოდ, განსახილველი თეორიის გამოყენება.

მაღლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის AR/91/5-
109/11 გრანტის ხელშეწყობით.

**შეყურსული კალით დატვირთული მრავალფენიანი
მართკუთხა პარალელეპიპედის წონასწორობის
შესწავლა და სათანადო მომსახურების მქონე
შესაბამისი პროგრამის შედგენა**

ნური ხომასურიძე*, ნათელა ზირაქაშვილი**,
მირანდა ნარმანია**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი
მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,
khomasuridze.nuri@gmail.com

საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
natzira@yahoo.com, miranarma19@gmail.com

ამოხსნილია ამოცანა, რომელიც ეხება გარე შეყურსუ-
ლი ძალით დატვირთული მრავალფენიანი (სამფენიანი)
მართკუთხა პარალელეპიპედის დრეკად წონასწორობას.
დრეკადობის თეორიის შესაბამისი სასაზღვრო-საკონტაქ-
ტო ამოცანა ამოხსნილია ანალიზურად, სადაც გადაადგი-
ლებები წარმოდგენილია უსასრულო მწკრივების სახით,
მწკრივის თითოეული წევრი წარმოადგენს ტრიგონომეტ-
რიული და ექსპონენციალური ფუნქციების ნამრავლს.

მიღებულ ანალიზურ ამონახსნებზე დაყრდნობით შედ-
გენილია კომპლექსური პროგრამა სათანადო მომსახურე-
ბით.

მაღლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
AR/91/5 - 109/11 გრანტის ხელშეწყობით

**თერმოდრეკალოზის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის
ამონახა მართკუთხა პარალელეპიპედისათვის
მიკროტემპერატურული ზემოქმედების
ბათვალისწინებით**

ნური ხომასურიძე*, რომან ჯანჯღავა**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი
მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,
khomasuridze.nuri@gmail.com

** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი
მათემატიკის ინსტიტუტი,
საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
roman.janjgava@gmail.com

ნაშრომში განიხილება სამგანზომილებიან დიფერენ-
ციალურ განტოლებათა სისტემა, რომელიც აღწერს
ისეთი იზოტროპული დრეკადი სხეულების თერმოდრეკად
წონასწორობას, რომელთა მიკროელემენტებიც კლასი-
კური გადაადგილებისა და ტემპერატურული ველის გარ-
და ხასიათდებიან ასევე მიკროტემპერატურითაც. დეკარ-
ტის საკოორდინატო სისტემაში იგება ამ განტოლებათა
სისტემის ზოგადი ამონახსნი ჰარმონიული და მეტაჰარ-
მონიული ფუნქციების საშუალებით. მართკუთხა პარა-
ლელეპიპედისათვის დასმულია მიკროთერმოდრეკადობის
სასაზღვრო ამოცანათა კლასი და მიღებული ზოგადი
ამონახსნების გამოყენებით, სასაზღვრო ამოცანათა ამ
კლასისათვის აგებულია ანალიზური ამონახსნები.

მიღებული ამონახსნებიდან, თუ გავუტოლებთ ნულს
მიკროტემპერატურული ზემოქმედების მახასიათებელ
თერმულ კოეფიციენტებს ($k_1 = k_2 = \dots = k_6 = 0$), მივიღებთ
თერმოდრეკადობის შესაბამისი კლასიკური ამოცანების
ამონახსნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის მიზანია სასაზღვრო
ამოცანათა კლასისათვის ანალიზური ამონახსნის აგება
და არა იმის კვლევა, თუ რამდენად გამართლებულია ან

მიზანშეწონილია, საზოგადოდ, განსახილველი თეორიის
გამოყენება.

მაღლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის AR/91/5-
109/11 გრანტის ხელშეწყობით.

**დიფერენციალური იერარქიული მოდელები
მიკროტემპერატურიანი დრეკადი პრიზმული
ბარსებისათვის**

გიორგი ჯაიანი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი &
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მოხსენება ეძღვნება დიფერენციალური იერარქიული
მოდელების აგებას მიკროტემპერატურიანი დრეკადი
პრიზმული გარსებისათვის. პირველ პარაგრაფში მოცე-
მულია ისეთი შინაგანი სტრუქტურის მქონე დრეკადი
მასალების (რომელთა შემადგენელი ნაწილაკები გარდა
კლასიკური გადაადგილებებისა და ტემპერატურისა ხა-
სიათდება აგრეთვე მიკროტემპერატურითაც) წრფივ თეო-
რიაში მიღებული შედეგების მოკლე მომიხილვა. მეორე
პარაგრაფში წარმოდგენილია პრიზმული და წამახვილე-
ბული პრიზმული გარსები; შედარებულია პრიზმული და
სტანდარტული გარსები და ფირფიტები; ნახაზებზე
ილუსტრირებულია წამახვილებული პრიზმული გარსები;
წარმოდგენილია მათი ტიპური განივკვეთები; განმარ-
ტებულია ფუნქციების და მათი წარმოებულების მათე-
მატიკური მომენტები და მოყვანილია მათი დამაკავშირე-
ბელი ფორმულები. მესამე პარაგრაფი ეხება მიკროტემ-
პერატურიანი პრიზმული გარსების იერარქიულ მოდე-
ლებს. ამ მიზნით, ერთგვაროვანი იზოტროპული მიკრო-
ტემპერატურიანი სხეულების წრფივი თერმოდრეკადობის

ძირითადი განტოლებების მიმართ გამოყენებულია განზომილების რედუქციის ილია ვეკუას მეთოდი, რომელიც ეფუძნება ფიზიკური და გეომეტრიული სიდიდეების ფურიე ლეჟანდრის მწკრივებად გაშლას.

აგებულია იერარქიული მოდელების მმართველი განტოლებები და სისტემები გადაადგილების ვექტორის, ძაბვის და დეფორმაციის ტენზორების, ტემპერატურის და მიკროტემპერატურის მათემატიკური მომენტების მიმართ. მეოთხე პარაგრაფში გამოყვანილია მიკროტემპერატურებიანი დრეკადი პრიზმული გარსების იერარქიული მოდელების ნულოვანი მიახლოების მმართველი განტოლებები და სისტემები; გაკეთებულია ზოგიერთი წინასწარი დასკვნა.

მაღლობა. ნაშრომი შესრულებულია იტალიის სამეცნიერო კვლევების საბჭოსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერ ფონდის ერთობლივი პროექტის (2012-2013) ფარგლებში.

დაზუსტებული თეორიების სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის მიახლოებითი მეთოდები

თამაზ ვაშაყმაძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი &
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

განვიხილავთ ფონ კარმან-რაისნერ-მინდლინის ტიპის დაზუსტებულ თეორიებს. მათი შესაბამისი ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ამოსახსნელად განვითარებულია ვარიაციულ-დისკრეტული მეთოდები.

CONTENTS

G. Aburjania, Kh. Chargazia
DYNAMICS OF ULF ELECTROMAGNETIC WAVE STRUCTURES IN THE SHEAR FLOW INDUCED IONOSPHERE.....5

G. Baghaturia, G.i Baghaturia
THE PROBLEM OF CRACK PROPAGATION IN AN ELASTIC STRIP.....6

L. Bitsadze
EFFECTIVE SOLUTION OF THE NEUMAN BVP OF THE LINEAR THEORY OF THERMOELASTICITY WITH MICROTEMPERATURES FOR A SPHERICAL RING.....7

T. Davitashvili, G. Gubelidze.
ON LEAK DETECTION IN PIPELINES FOR GAS STATIONARY AND NON-STATIONARY FLOW.....8

G. Gabrichidze
ONE MATHEMATICAL MODEL OF THE MICROTREMOR USE FOR STRUCTURE REAL SEISMIC RESOURCE ASSESSMENT.....9

D. Gordeziani
ADDITIVELY-AVERAGED MODELS AND SCHEMES FOR SOLUTION OF SOME PROBLEMS OF THERMOELASTICITY.....10

G. Jaiani
DIFFERENTIAL HIERARCHICAL MODELS FOR ELASTIC PRISMATIC SHELLS WITH MICROTEMPERATURES.....11

N. Kachakhidze, Z. Tsiklauri, N. Khomeriki
ON A METHOD OF THE SOLUTION OF TWO-DIMENSIONAL CARRIER STATIC EQUATION.....12

M. Kalabegashvili, R. Thschvedaze, D. jankarashvili, L. Qajaia, A. Tabatadze ON FRAMEWORK BUILDING COLUMNS SEISMIC IMPACT EFFECT.....	13
A.L. Kalamkarov MICROMECHANICAL ANALYSIS OF SMART COMPOSITE MATERIALS AND STRUCTURES BASED ON THE ASYMPTOTIC HOMOGENIZATION.....	15
N. Khomasuridze SOME BOUNDARY VALUE AND BOUNDARY- TRANSMISSION PROBLEMS OF MICRO-THERMAL ELASTICITY OF STRESS/STRAIN STATE IN GENERALIZED CYLINDRICAL AND SPHERICAL COORDINATES.....	18
N. Khomasuridze, R. Janjgava SOLUTION OF SOME BOUNDARY VALUE PROBLEMS OF THERMO-ELASTICITY OF A RECTANGULAR PARALLELEPIPED TAKING INTO ACCOUNT MICRO- TEMPERATURE EFFECTS.....	19
N. Khomasuridze, N. Zirakashvili, M. Narmania INVESTIGATION OF ELASTIC EQUILIBRIUM OF A MULTILAYER RECTANGULAR PARALLELEPIPED UNDER POINT LOAD AND CREATION OF A CORRESPONDING WIDE-SERVICE PROGRAMME.....	20
D. Kröner DYNAMICS OF SURFACES IN DIFFERENT APPLICATIONS.....	20
T. Meunargia ON THE APPLICATION OF THE METHOD OF A SMALL PARAMETER FOR NON-SHALLOW SHELLS.....	21

D. Natroshvili HERITAGE OF V. KUPRADZE IN 3D ELASTICITY: POTENTIAL METHOD AND FUNDAMENTAL SOLUTIONS METHOD.....	23
G. Nozadze, N. Khomasuridze AN ANALYTICAL SOLUTION FOR A CLASS OF BOUNDARY VALUE PROBLEMS OF THERMOELASTICITY FOR A NON-HOMOGENEOUS RECTANGULAR PARALLELEPIPED.....	24
V. Odisharia, J. Peradze THE ACCURACY OF A METHOD FOR THE BERGER DYNAMIC PLATE EQUATION.....	25
N. Odishelidze , F. Criado -Aldeanueva, F. Criado ON ONE CONTACT PROBLEM OF PLANE ELASTICITY THEORY FOR A DOUBLY CONNECTED DOMAIN.....	27
A. Papukashvili, G. Manelidze, M. Sharikadze ON APPROXIMATE SOLUTION OF A SYSTEM OF SINGULAR INTEGRAL EQUATIONS.....	28
D. Patariaia, E. Tsotseria, G. Nozadze, G. Javakhishvili, R. Maisuradze, T. Javakhishvili., G. Purtseladze ABOUT SOME ISSUES OF STATIC AND DYNAMIC CALCULATIONS OF A CABLE SUSPENSION TRANSPORTATION DEVICE.....	30
L. Qajaia, T. Tsiskreli NECESSITY OF ACCOUNTING IN NEW GEORGIAN SEISMIC CODES THE SPECIFICS OF THE CALCULATION OF TALL BUILDINGS UNDER SEISMIC ACTION.....	31

J. Sharikadze, B. Tsutskiridze, L. Jikidze
SOME ISSUES OF CONDUCTING FLUID UNSTEADY FLOWS
IN PIPES UNDER THE ACTION OF A TRANSVERSE
MAGNETIC FIELD.....33

K. Svanadze
SOLUTION OF THE BASIC PLANE BOUNDARY VALUE
PROBLEMS OF STATICS OF ELASTIC MIXTURES
FOR A MULTIPLY CONNECTED DOMAIN BY THE
METHOD OF D. SHERMAN.....34

T. Vashakmadze
SOME APPROXIMATE METHODS FOR SOLVING
BVPS OF REFINED THEORIES34

R. Zaridze, D. Kakulia, I. Petoev, V. Tabatadze
THE METHOD OF AUXILIARY SOURCES V. KUPRADZE
AND RAYLEIGH HYPOTHESIS.....35

სარჩევნი

გ. ბალათურია, გ. ბალათურია.
ღრეკად ზოლში გზარის ბავრცელების
ანტიბრტყელი ამოცანა.....37

ლ. ბიწაძე.
თერმოდრეკადობის წრფოვი თეორიის ნეიმანის
ამოცანის ეფექტური ამოხსნა სფერული რბოლისათვის
მიცროტემპერატურის ბათვალისწინებით.....37

გ. გაბრიჩიძე.
ნაბეობის რეალური სეისმური რესურსის
შესაფასებლად სუსტი რყევების ბამოყენების ერთი
მათემატიკური მოღელი.....38

რ. ზარიძე, დ. კაკულია, ი. პეტოევი, ვ. ტაბატაძე
კუპრადის ღამხმარე ბამომსხივებლების მეთოდი ღა
რელის ჰიპოთეზა.....39

თ. მეუნარგია.
მცირე პარამეტრის მეთოდის ბამოყენების
შესახებ არაღამრეცი ბარსებისათვის.....41

ნ. ნარეშელაშვილი, ვ. გოგაძე.
ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობების
ლიტონკონსტრუქციის კვლევა.....43

დ. ნატროშვილი.
ვიქტორ კუპრადის მემკვიდრეობა ღრეკადობის
სამბანომილებიან თეორიაში: კოტენციალთა
მეთოდი ღა ფუნდამენტურ ამონახსნთა მეთოდი.....45

გ. ნოზაძე, ნ. ხომასურაძე.
 იზოტროპული არამრთავარობანი მართკუთხა
 პარალელეპიპედის თერმოდრეკალობის სასაზღვრო
 ამოცანების ანალიზურ ამოხსნათა ერთი კლასისი
 შესახებ.....46

ნ. ოდიშელიძე, ფ. კრიადო-ალდეანუევა, ფ. კრიადო.
 ერთი საკონტაქტო ამოცანის შესახებ ბრტყელი
 დრეკალობის თეორიის ორადგომული არისათვის.....47

ნ. ოზბეთელაშვილი, ი. რამიშვილი.
 სამფენიანი ფილის დრეკადი წონასწორობა
 თერმული ველის გათვალისწინებით.....48

ა. პაპუკაშვილი, გ. მანელიძე, მ. შარიქაძე.
 სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა
 ერთი სისტემის მიახლოებითი
 ამოხსნის შესახებ.....49

**დ. პატარია, ე. წოწერია, გ. ნოზაძე, გ. ჯაგახიშვილი,
 თ. ჯაგახიშვილი, რ. მაისურაძე, ბ. შევარდენიძე,
 გ. ფურცელაძე.**
 ვანტური სატრანსპორტო სისტემის სავალი ნაწილის
 სტატიკური და დინამიკური გათვლის ზოგიერთი
 საკითხის შესახებ.....51

კ. სვანაძე.
 დრეკად ნარევთა ბრტყელი თეორიის სტატისტიკის
 ძირითადი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა
 მრავლადგომულ არეში დ. შერმანის მეთოდით.....52

ლ. ქაჯაია, ც. ცისკრელი.
 მაღლივი შენობის სეისმურ ზემოქმედებაზე
 ბანბარშიშების სპეციფიკის გათვალისწინება
 ძირითად სეისმურ ნორმების ახალ რედაქციაში.....53

ჯ. შარიქაძე, ბ. ცუცქირიძე, ლ. ჯიქიძე.
 ზოგიერთი საკითხი გამტარი სითხის
 არასტაციონარული დინებისა მილში, როდესაც
 მოქმედებს გარეგანი მაგნიტური ველი.....55

ნ. ხატიაშვილი, ქ. ფირუშოვა.
 სტოქსის სისტემის ზოგიერთი ევმეტური
 ამოხსნის შესახებ ჰრილბიანი ცილინდრისათვის
 დერე-სიმეტრიულ შემთხვევაში.....56

ნ. ხომასურაძე.
 მიკროთერმოდრეკადი დაქაბულ-დეფორმირებული
 მდგომარეობის შესახებ ზოგიერთი სასაზღვრო და
 სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა განსოგადებულ
 ცილინდრულ და სფერულ კოორდინატებში.....57

ნ. ხომასურაძე, ნ. ზირაქაშვილი, მ. ნარმანია.
 შექმნილი კალით დატვირთული მრავალფენიანი
 მართკუთხა პარალელეპიპედის წონასწორობის
 შესწავლა და სათანადო მომსახურების მქონე
 შესაბამისი პროგრამის შედგენა.....58

ნ. ხომასურაძე, რ. ჯანჯღავა.
 თერმოდრეკალობის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის
 ამოხსნა მართკუთხა პარალელეპიპედისათვის
 მიკროტემპერატურული ზემოქმედების
 გათვალისწინებით.....59

გ. ჯაიანი
 დიფერენციალური იმარაქიული მოდულები
 მიკროტემპერატურიანი დრეკადი პრიზმული
 გარსებისათვის.....60

თ. ვაშაყმაძე
 დაზუსტებული თეორიების სასაზღვრო ამოცანების
 ამოხსნის მიახლოებითი მეთოდები.....61